# კულტურის, განათლების , სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ანგარიში

წარმოგიდგენთ ჩვენი სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის ანგარიშს 2021 წლის ივნისიდან, 2022 წლის ივნისამდე.

ორი წელია პანდემიის გამო მთელი რიგი პროექტები, რომელიც ჩვენი სამსახურის ორგანიზებით მიმდინარეობდა არ ჩატარებულა.(სასკოლო სპორტული ოლიმპიადა, იმერეთის ხმა, ამღერებული იმერეთი, ვარინკა წერეთელის სახელობის ფესტივალი, გავრილობა ქუთაისში ,ბავშვთა დაცვის დღისადმი მიძღვნილი კვირეული)

პროექტი სასკოლო სპორტული ოლიმპიადა, რომელსაც ჩვენი სამსახური ტრადიციულად ყოველწლიურად ახორციელებდა და იყო ყველაზე მასშტაბური ღონისძიება, რომელშიაც ჩართული იყო მუნიციპალიტეტის ყველა საჯარო სკოლა, შეჩერებული იქნა პანდემიის გამო.

თქვენ ყურადღებას შევაჩერებთ იმ ღონისძიებებზე, რომლის ჩატარება მოხერხდა საანგარიშო პერიოდში.

2 ივნისს, ფასანაურში ჩატარდა ჯომარდობა. ჩვენი სამსახურის დაფინანსებით ხარაგაულელმა ახალგაზრდებმა მონაწილეობა მიიღეს აღნიშნულ ღონისძიებაში.

ივნისის თვეში ყოველწლიურად მიმდინარეობს ქუთაისში ,,იმერეთის თეატრალური" ფესტივალი. ფესტივალში მონაწილეობს ხარაგაულის სახალხო თეატრი, ჩვენი სამსახურის მიერ ყოველწლიურად ხდება ახალგაზრდების ტრანსპორტირება ფესტივალზე დასასწრებად.

ივნისის დასაწყისში კულტურისა და დასვენების პარკში ჩატარდა მიხანში სროლის ტურნირი. აღნიშნული ტურნირი უკვე რამდენჯერმე გაიმართა. გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ. წინა წელს პირველად ჩატარდა შეჯიბრი ,,სპორტინგში", რამაც დიდი ინტერესი გამოიწვია და მომავალში იგეგმება უფრო ფართო მასშტაბით ჩატარება.

ლიტერატურული თეატრის ორგანიზებით უკვე რამდენიმე წელია ტარდება სამხატვრო პლენერი ,,გამა", სადაც ყოველწლიურად ხდება ჩვენი სამსახურის მიერ მონაწილეების დაჯილდოება.

ივლისის თვეში დამოუკიდებელ ბავშვთა და სტუდენტთა გაერთიანების ორგანიზებით სვანეთში, მესტიაში, იმყოფებოდა ხარაგაულელ ახალგაზრდების ჯგუფი, სადაც ჩატარდა ღონისძიება ქართული კულტურის დღეები ,,მესტია - 2021". აღნიშნული ღონისძიება ჩატარდა ქვეყნის მაშტაბით და მასში მონაწილეობდნენ სხვადასხვა მუნიციპალიტეტები. აღნიშნული ორგანიზაციის ეგიდით ჩატარებულ ღონისძიებებში წინა წლებშიც ჩართული იყვნენ ხარაგაულელი ახალგაზრდები ( ქობულეთი, ბაკურიანი).

ივლისში ჩვენი სამსახურის ორგანიზებით გაიმართა ექიმებისა და სამედიცინო პერსონალის მხარდასაჭერად ,,მადლიერების საღამო" სამუსიკო სკოლის დარბაზში. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ სხვადასხვა შემოქმედებით ჯგუფები და ინდივიდუალური შემსრულებლები. ღონისძიებას ესწრებოდნენ სამედიცინო სფეროს წარმომადგენლები.

ივლისში ქუთაისში გამართულ ნიღბების თეატრის სპექტაკლზე ჩვენი სამსახურის დაფინანსებით მოხდა სოციალურად დაუცველი ბავშვების დასწრება.

გასულ წელს ხარაგაულელი 219 პირველკლასელთათვის შექმნილი იქნა სასკოლო მზაობის საოჯახო წიგნი-რვეული „პირველკლასელთა აკადემია". აღნიშნული წიგნები საჩუქრად გადაეცათ ბავშვებს.

16, 17 ივლისს ჩატარდა სამოყვარულო ლიგის ჩემპიონატი ფეხბურთში. ხარაგაულის მუნიციპალიტეტიდან მონაწილეობა მიიღო ბორითის, კიცხის, ვერტყვიჭალის და ვარძიის გუნდებმა. გაიმარჯვა ბორითის გუნდმა, რომლებმაც მონაწილეობა გააგრძელეს რეგიონალურ ტურნირზე.

ხარაგაულში, სოფელ ვახანში, დოღის ჩატარება 1989 წლიდან იწყება. 1991 წლიდან დოღს ქართული ჭიდაობა მიემატა, მოგვიანებით მკლავჭიდი. 2020 წლიდან დამკვიდრდა ტრადიცია საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს დოღის ჩატარების სოფელ ვახანში. სახალხო დღესასწაული ვახანში მერაბ არევაძის სახელს ატარებს, რადგან მერაბ არევაძე გახდა პირველი აბსოლუტური ჩემპიონი ვახანში ქართულ ჭიდაობაში.

აღსანიშნავია ახალგაზრდების დაინტერესება დოღით და მათი მიღწევები. მაგალითად, ზვარეში მცხოვრებმა მერაბ თიკანაშვილმა შარშან რაჭაში, ნიკორწმინდაში გამართულ „დიდი თასის გათამაშებაში" პირველი ადგილი დაიკავა. ამ სპორტის პოპულარიზაციას ხელს უწყობს ჩვენი სამსახური. წლებია უკვე აღნიშნული მიმართულებით ფინანსდება სხვადასხვა სოფლებში გამართული შეჯიბრებები. ვფიქრობთ, აღნიშნულ სპორტულ მიმართულებას აქვს დიდი პოტენციალი და შეიძლება მისი მასშტაბის გაზრდა და ღონისძიების გამოყენება ტურისტული პოტენციალის განვითარების თვალსაზრისით.

აგვისტოს თვეში ჩატარდა ვახანში ტრადიციული დოღი. გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ.

სექტემბერ-ოქტომბერში ევროპის სპორტის კვირეულის ფარგლებში გაიმართა სამაგიდო თამაშების ჩემპიონატი. გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ.

19-22 ოქტომბერს გაიმართა საქართველოს ეროვნული ინტელექტ-ჩემპიონატის „ეტალონის" პირველი და მეორე ტურის დისტანციური კონკურსი ხარაგაულის საჯარო სკოლებისათვის. მეორე ტურში გადავიდა 74 მოსწავლე. გამოვლინდნენ გამარჯვებულები. გამარჯვებულ კონკურსანტებს გადაეცათ სიგელები. კონკურსს ტრადიციულად აფინანსებს მუნიციპალიტეტის მერია.

დეკემბრის თვეში მიმდინარეობდა მზადება საახალწლო ღონისძიებებისათვის. საახალწლო ღონისძიებები ჩატარდა მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში და სამუსიკო სკოლაში.

8 იანვარს ხარაგაულის მერიის წინ გაიმართა მთავარი საახალწლო ღონისძიება. სადღესასწაულო განწყობის შესაქმნელად მოეწყო საახალწლო ბაზრობა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ადგილობრივმა მეწარმეებმა. მოეწყო საბავშვო გასართობი სივრცეები, სტენდები ფოტო გადაღებისათვის, ჩატარდა კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ხარაგაულში მოქმედმა შემოქმედებითმა ჯგუფებმა, გაიმართა საპატიო ხარაგაულელების დაჯილდოების საზეიმო ცერემონია. საღამოს ხარაგაულელი მსმენელის წინაშე ჯგუფი „თეატრალური კვარტეტი" წარსდგა. კონცერტი დამთავრდა ფოიერვერკით. აღნიშნული კონცერტები ჩატარდა ყველა მუნიციპალიტეტში პრემიერ-მინისტრის ბატონი ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივით.

საგაზაფხულო ღონისძიებები, დედისა და ქალთა დღისადმი მიძღვნილი კონცერტი ,რომელიც ტრადიციულად ტარდება მუნიციპალიტეტში უკრაინაში მიმდინარე საომარი მოქმედებების გამო გადაიდო. ამჯერად შემოვიფარგლეთ მხოლოდ სოციალური ხასიათის ღონისძიებით. დედის დღესთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის მასშტაბით საჩუქრებით დაჯილდოვდა 10 მრავალშვილიანი დედა.

პანდემიის შემდეგ მუშაობა განაახლა ოთარ აბაშიძის სახელობის სახალხო თეატრმა. ჯერ ხარაგაულში და მერე თბილისში ნაჩვენები იქნა რეზო კლდიაშვილის „იმერული რეკვიემი", სპექტაკლი იყო საქველმოქმედო. შემოსული თანხა გადაირიცხა უკრაინის საქველმოქმედო ფონდში.

მაისიდან დავიწყეთ „მხიარულ სტარტები" მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებისათვის. ტურნირი ჩატარდება ზონალურად: კიცხის, ვერტყვიჭალის, მარელისის და დაბის ზონებზე. ფინალური შეხვედრა გაიმართება ხარაგაულის სპორტდარბაზში. გამარჯვებული გუნდები დაჯილდოვდებიან მაისურებით და სპეციალური პრიზებით.

აღნიშნული პროექტი მიმდინარეობს 2013 წლიდან და ჩართულია მუნიციპალიტეტის თითქმის ყველა საჯარო სკოლა. დაახლოებით 250 ბავშვი. ვინაიდან პროექტი არის ეფექტური და მასშტაბური, და მასში ენთუზიაზმით ერთვებიან ახალგაზრდები, ყოველით საჭიროა ინვენტარის შეძენა და განახლება მრავალფეროვანი თამაშებისათვის. „მხიარული სტარტები" ტარდება არა მხოლოდ საჯარო სკოლის მოსწავლეებისათვის , არამედ ახალგაზრდებში და სხვადასხვა მოყვარულთა ჯგუფებში.

ვგეგმავთ ახალი, ინოვაციური პროექტის ჩატარებას ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მასშტაბით. ეს არის „კიბერ ფეხბურთი". აღნიშნული პროექტი დიდი პოპულარობით სარგებლობს მსოფლიოში, განსაკუთრებით ახალგაზრდებში.

ჩვენი სამსახურის ორგანიზებით, მოხდა შეხვედრა სამშენებლო კოლეჯი „კონსტრუქტორი2"- ის ხელმძღვანელებთან. მომავალში დაიგეგმა დაინტერესებული ხარაგაულელი ახალგაზრდების ჯგუფის სტუმრობა კოლეჯში.

წელს, თებერვლის თვიდან, დაიწყო სამზადისი ფოლკლორის ეროვნული ფესტივალისათვის. ფესტივალი იმართება სამ ეტაპად. პირველი ტური გაიმართება თერჯოლაში 30 ივნისს. მეორე ტური გაიმართება ქუთაისში, და მესამე ტური გაიმართება თბილისში ოქტომბრის თვეში.

ფესტივალში მონაწილეობენ ფოლკლორული ჯგუფები და ინდივიდუალური შემსრულებლები სხვადასხვა ჟანრში.

ივლისის ბოლოს ასევე ბათუმში გაიმართება ფოლკლორის ფესტივალი. ვფიქრობთ, რომ მივიღოთ მონაწილეობა.წარმოდგენილი იქნება ,როგორც შემოქმედება ,ასევე ხალხური რეწვის ნიმუშები.

ვფიქრობ მეტი აქტიურობაა საჭირო ახალგაზრდული ღონისძიებების კუთხით. განსაკუთრებით ხელი უნდა შეეწყოს იმ ღონისძიებებს, რომელიც გამოავლენს და წაახალისებს ნიჭიერ ახალგაზრდებს მუნიციპალიტეტის მასშტაბით. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გამოყოფილია თანხა ახალგაზრდული ინიციატივების დასაფინანსებლად.

## მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი

მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში ფუნქციონირებს სხვადასხვა სახის წრეები: ხალხური სიმღერის წრე (ლეღვანი), საესტრადო სიმღერის, რიტმული ცეკვის, ლიტერატურული თეატრი, ხეზე კვეთის (მარელისი), გალობის, ხელგარჯილობის, მხარეთმცოდნეობის, კომპიუტერების (ზორითი), ნორჩ-მათემატიკოსთა, ხატვის, მაკრამის, ინგლისური ენის შემსწავლელი წრე . სულ 14 დასახელების წრე. გარდა ამისა, მოსწავლეთა სახლში ფუნქციონირებს მუსიკალური სტუდია „ჰარმონია" დაბასა და სოფ. ვერტყვიჭალაში.ბავშვებისთვის ყველა წრე უფასოა გარდა მუსიკალური სტუდიისაა, რომელიც ნაწილობრივ ბიუჯეტით ფინანსდება, ნაწილი კი მშობელთა შემონატანით. (სოციალურად დაუცველი ოჯახები გათავისუფლებული არიან სწავლის გადასახადიდან).

მოსწავლეთა რაოდენობა სახელობითი სიით შეადგენს 220 ბავშვს, ისინი გაერთიანებული არიან წრეებში თავიანთი შესაძლებლობის მიხედვით, ზოგიერთი ბავშვი 2-3 წრეშია გაერთიანებული. წრეებში ჩაბმულნი არიან როგორც დაბის ასევე სოფლის მოსწავლეები.კერძოდ; კიცხის, მარელისის, ლეღვნის ზორითის, ვერტყიჭალის, წიფის სკოლებიდან.

2021-2022 სასწავლო წლის განმავლობაში მუშაობა შეფერხებული იყო პანდემიის გამო. შესაძლებლობის ფარგლებში ჩატარდა რამოდენიმე ღონისძიება.

1 ივნისს ბავშვთა დაცვის დღესთან დაკავშირებით მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლმა ჩაატარა კონცერტი კულტურისა და დასვენების სახლში. აქვე წარმოდგენილი იყო მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში სხვადსახვა წრეებში გაერთიანებული ბავშვების ნამუშევრები.

12 ივლისს მოეწყო საგალობლების საღამო.

6 ოქტომბერს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის მოსწავლეებმა პედაგოგებს მიულოცეს პედაგოგის დღე.

11-14 ნოემბერს თბილისში მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში მიმდინარეობდა კინო-ფესტივალი ,,თბილისური აისი". კინო-ფესტივალზე წარმოდგენილი იყო მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის მოსწავლეთა გადაღებული ფილმი ,,მარტოსული".

ჩატარდა საახალწლო კონცერტი და ტრადიციულად მონაწილე ბავშვებს დაურიგდათ ტკბილეული.

9 აპრილს მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის ლიტერატურული წრის მონაწილეებმა 9 აპრილის სკვერში გამართეს ამ დღისადმი მიძღვნილი კომპოზიცია. ყვავილებით შეამკეს მემორიალი.

ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა ბავშვთა დაცვის დღისადმი მიძღვნილი კონცერტისათვის.

პანდემიამდე მოსწავლე ახალაგაზრდობის სახლმა ზაფხულში მოაწყო ,,საზაფხულო ბანაკი". ყველა დღე იყო დატვირთული სხვადასხვა საინტერესო ღონისძიებებით. რადგან პროექტმა დიდი დაინტერესება გამოიწვია ახალგაზრდებში, წელსაც იგეგმება ორ ნაკადად.

მისასალმებელია, რომ ხარაგაულის მოსწავლეთა სახლის ბაზაზე სოფლებში ფუნქციონირებს წრეები. ვფიქრობ კარგი იქნება ყურადღება მივაქციოთ ტრადიციულ დარგებს , როგორიც არის მაგალითად მეთუნეობა, თექა. კარგია თუ ეს წრეები გაიხსნება და და ამით ხელს შევუწყობთ ტრადიციის გაგრძელებას.

პრობლემები ძირითადად არის ინფრასტრუქტურული ხასიათის. შენობის იერსახე მოსაწესრიგებელია, შესაცვლელია კიბე და მოსაწესრიგებელია შენობის კედელი. დარბაზს ესაჭიროება გათბობის სისტემა.აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით მერია გეგმავს ღონისძიებების გატარებას.

## ხარაგაულის ისტორიული მუზეუმი

ხარაგაულის ისტორიულ მუზეუმს, მასში დაცული მხარის ისტორიული და არქეოლოგიური უნიკალური მასალით, რომელიც ნათლად ასახავს რაიონის წარსულსა და დღევანდელობას, მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს რაიონის კულტურული ცხოვრების ისტორიის წარმოჩენის საქმეში. დღეს, უფრო დიდი აქცენტები კეთდება შემოქმედებითი უნარების განვითარებაზე და კიდევ უფრო იზრდება მუზეუმის როლი.

მიუხედავად ქვეყანაში არსებული მძიმე ეპიდემიოლოგიური ვითარებისა მუზეუმი თითქმის სრული დატვირთვით ეწეოდა სამუზეუმო საქმიანობას.

რეკომენდაციების სრული დაცვით, მუზეუმი ვიზიტორებისათვის პირველი მარტიდან გაიხსნა. მარტის თვეში ჩატარდა ინტეგრირებული გაკვეთილი „მუზეუმი და კულტურული მემკვიდრეობა" ხარაგაულის ორი საჯარო სკოლის მოსწავლეების და პედაგოგების ჩართულობით.

პანდემიის პერიოდში მიმდინარეობდა შიდა სამუშაოები, კერძოდ: კოსმეტიკური რემონტი ჩაუტარდა ორ საგამოფენო სივრცეს, მოიხვეწა და ლაქით დამუშავდა მეორე სართულის კიბე და ორი საგამოფენო დარბაზი, აქვე დაემატა განათების მოწყობილობა. პირველ სართულზე გაკეთდა კარადები, რომელიც წლების განმავლობაში აუცილებლობას წარმოადგენდა მუზეუმისთვის.

პარალელურად მიმდინარეობდა, საქართველოს დამსახურებული მხატვრის, ხელოვნების ქურუმის, ლევან ცუცქირიძის სახელობის სამხატვრო სტუდიის ხელმძღვანელის, მამუკა ცუცქირიძის ინიციატივით, მუზეუმისთვის საჩუქრად გადმოცემული ფერწერული ტილოების დამუშავება და საგამოფენოდ მომზადება, რამაც დღემდე 295 ერთეული შეადგინა. ივლისის თვეში გალერეას შეემატა ცამეტი ნამუშევარი.

18 მაისს მუზეუმში მოეწყო ეროვნული სამოსის დღე. აგრეთვე აღინიშნა ევროპული კვირეულის დღეები.

ივლისის თვეში ბავშვებისათვის ჩატარდა პროექტი ,,მოხატული კერამიკა", სკოლის მოსწავლეებისათვის ,,პატარა არქეოლოგები".

12 ოქტომბერს ხარაგაულის ისტორიული მუზეუმის ეზოში გაიხსნა ფოტო ისტორიების გამოფენა ,,ჩვენ, 30 აშბავი" ბავშვები სტერეოტიპებით არ იბადებიან. წარმოდგენილი იყო ფოტოგრაფ ლევან

ხერხეულიძის და მწერალ ალექსანდრე ქიქოძის ერთობლივი ნამუშევარი. გამოფენა გაგრძელდა კულტურის ცენტრში 1 ნოემბრამდე.

მუზეუმმა გამოაცხადა ფოტო კონკურსი „შემოდგომა, მე და იზოლაცია". მოეწყო ფოტოგამოფენა .სხვადასხვა ნომინაციაში მონაწილე გამარჯვებული ახალგაზრდები დაჯილდოვდნენ.

ძირითადად პრობლემაა შენობის იერსახის მოწესრიგება, როგორც გარე ფასადის ასევე შიგნით ინტერიერის. მეორე სართულზე მდებარეობს 6 დარბაზი . აქედან სამი დარბაზი გარემონტებულია. არ არის საკმარისი ფართი ექსპონანტების გამოსაფენად.

დარბაზში „გამოჩენილი ადამიანები", საჭიროა რემონტი და ექსპოზიციის განახლება. 40 წელზე მეტია რაც ექსპოზიცია არ შეცვლილა. დაემატა ბევრი მასალა და საჭიროა განთავსება. კარგი იქნება თანამედროვე მონიტორის გაკეთება სადაც ჩაიტვირთება, ვიდეო, ფოტო და საინფორმაციო მასალა.

კარგი იქნება თუ ხარაგაულის შემოსასვლელში განთავსდება საინფორმაციო ბანერი – ხარაგაულის ისტორიული მუზეუმი.

წლების განმავლობაში მუზეუმში ტარდება მთელი რიგი ღონისძიებები, რომლებიც ტრადიციად იქცა. ასეთებია:

1. შემოდგომა იმერეთში
2. ღვინის ფესტივალი( საოჯახო ღვინის დეგუსტაცია-კონკურსი)
3. მუზეუმების საერთაშორისო კვირეული
4. ფოტოგამოფენები
5. მოხატული კერამიკა, პატარა არქეოლოგები, მე ვხატავ ანიმაციას, ჩემი პარატარა ხელებით...
6. ევროპული მემკვიდრეობის დღეები

   ამჟამად მუზეუმში გროვდება მასალები ხარაგაულში მოღვაწე ადამიანებზე, სხვადასხვა დარგის ისტორიაზე ., მიმდინარეობს ინტეგრირებული გაკვეთილები სკოლებთან.

   დაიწყო ხარაგაულის სკოლების ისტორიების შეგროვება. მაისის თვეში ხარაგაულის ისტოროული მუზეუმი ტრადიციულად აღნიშნავს ეროვნული სამოსის დღეს და მუზეუმის საერთაშორისო დღეს.

**ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრი"**

ამჟამად სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრში ფუნქციონირებს 13 სპორტული მიმართულება:
ძიუდო, თავისუფალი ჭიდაობა, ქართული ჭიდაობა, ბერძნულ-რომაული ჭიდაობა სამბო, ფეხბურთი, კალათბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, ჭადრაკი, შაში, კარატე, კუნფუ, ტაიკვანდო, მკლავჭიდი, მძლეოსნობა.

**სოფლებში სექციები**

კიცხი - ბერძნულ-რომაული.

ხევი - სამბო, მძლეოსნობა.
ძიუდო - ბორითი, ვერტყვიჭალა, ვახანი, ლორეშა.
მოლითი - ძიუდო.
კიცხი - კალათბურთი, ფეხბურთი, მკლავჭიდი, მაგიდის ჩოგბურთი.
ნადაბური - კალათბურთი.
ვერტყვიჭალა - კარატე.

ძირითადად სექციების მუშაობა მიმდინარეობს სკოლის დარბაზებში, ტრადიციული სახეობა. საბავშვო ფეხბურთის 3 სექცია მუშაობს. აღჭურვილი არიან ინვენტარით, აქვთ ტრანსპორტის ქვების და სპორტულ ტურნირებში მონაწილეობის თანხები.
ტრადიციულად ტარდება შემდეგი ტურნირები:
1. თამაზ გიორგაძის სახელობის ტურნირი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში.
2. ანზორ მაღრაძის სახელობის ტურნირი ჭიდაობაში (საერთაშორისო).
3. ქართული ჭიდაობა და დოღი ვახანში.
4. ტარიელ შავიძის ტურნირი ჭიდაობაში.
5. ალეკო ავალიშვილის და შოთიკო ჭიპაშვილის სახელობის ტურნირი მინი ფეხბურთში.
6. ნოდარ ახალკაცის სახელობის ტურნირი ფეხბურთში.

წარმოგიდგენთ იმ ღონისძიებების ნუსხას, რომელიც ჩატარდა სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრის ორგანიზებით;

4 ივნისს ჩატარდა ხატვის კონკურსი ღია სივრცეში. გამარჯვებულ ბავშვებს გადაეცათ საჩუქრები.

4 ივნისს ქ. ხარკოვში დასრულდა საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში, სადაც იასპარეზა ხარაგაულელმა ევსემ შველიძემ და ვერცხლის მედალს დაეუფლა.

5,6 ივნისს გორში ჩატარდა ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში და სპორტისა და შიდა ტურიზმის აღსაზრდელმა ბ. ნიქაბაძემ მესამე ადგილი დაიკავა.

9 ივნისს ჩატარდა შეჯიბრი მკლავჭიდში მოსწავლეთა შორის და დაჯილდოვდნენ გამარჯვებულები.

18 ივნისს გაიმართა ფეხბურთის ჩემპიონატი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ერთეულების ვეტერანთა შორის .

28 ივნისს გაიმართა მუნიციპალიტეტის ჩემპიონატი ფრენბურთში.

29 ივნისს გაიმართა კონკურსი „იღბლიანი ანკესი“ სოფ. ლელვანში.

11 ივლისს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფ. ნიკორწმინდაში გამართულ დოღში მონაწილეობა მიიღო ხარაგაულელმა მერაბ თიკანაშვილმა და პირველი ადგილი დაიკავა.

17 ივლისს ქ. ქუთაისში გაიმართა კოლია ქვარიანის ტურნირი ქართულ ჭიდაობაში. მესამე ადგილის მფლობელი გახდა ხარაგაულელი თორნიკე შველიძე.

ივლისის თვეში ჩატარდა მინი ფეხბურთის, ფრენბურთის და კალათბურთის ჩემპიონატი მუნიციპალიტეტის პირველობაზე. სექტემბერ-ოქტომბერში ევროპის სპორტის კვირეულის ფარგლებში გაიმართა სამაგიდო თამაშების, კალათბურთის, გრეხეთბოლის და ფრენბურთის ჩემპიონატები.

1. იანვარში ქალაქ რუსთავში ჩატარდა საქართველოს პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში 23 წლამდელთა შორის .

2. 4 მარტი -მუნიციპალიტეტის პირველობა მაგიდის ჩოგბურთში მოსწავლეთა შორის (გოგონები და ბიჭები) ჩატარდა ბორის სკოლა პანსიონში.
3. 23 მარტი - მუნიციპალიტეტის პირველობა მაგიდის ჩოგბურთში დიდებს შორის - ჩატარდა ხარაგაულის სპორტულ დარბაზში.
4. 25 მარტი - მუნიციპალიტეტის პირველობა კალათბურთში ვაჟებს შორის -ჩატარდა ვერტყვიჭალის საჯარო სკოლაში.
5. 1 აპრილი -მოთიკო ჭიპაშვილის და ალეკო ავალიშვილის ხსოვნის ტურნირი მინი ფეხბურთში - ჩატარდა ხარაგაულის მინი სტადიონზე
6. 3 -4 აპრილი - საქართველოს პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში ჭაბუკთა შორის - ჩატარდა ქალაქ ხაშურში.
7. მუნიციპალიტეტის პირველობა ჭადრაკში მოსწავლეთა შორის (ბიჭები, გოგონები) - ჩატარდა ხარაგაულის სპორტულ დარბაზში.
8. 9 – 10 აპრილი - შეჯიბრი ბერძნულ რომაული ჭიდაობაში - ჩატარდა ქალაქ ქუთაისში.
9. 15 აპრილი - საკალათბურთო ტურნირი მოსწავლეთა შორის - ჩატარდა ხარაგაულის სპორტულ დარბაზში.
10. 17 აპრილი - სარაიონთაშორისო ტურნირი ძიუდოში - ჩატარა ქალაქ თერჯოლაში.
11. 20 აპრილი - ლაშა კურტანიძის ხსოვნის ტურნირი ფეხბურთში ჩატარდა ბორითის სტადიონზე.
12. 29 – 30 აპრილი - საქართველოს პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში 15 წლამდელთა შორის - ჩატარდა ოზურგეთში.
13. 2009 – 2010 წ. დაბადებული მოსწავლეები მონაწილეობას იღებენ იმერეთის პირველობაზე ფეხბურთში (გარი სორდია სახელობის თასი)

სამაყოა ჩვენი სპორტსმენების ევსემ შველიძის და ზაურ ბერაძის მიღწევები სხვადასხვა ტურნირებში. ორივე სპორტსმენი მიღწეული წარმატებებისათვის დაჯილდოვდა ფულადი პრემიით.

ტურიზმის განვითარების მიმართულებით ჩატარდა შემდეგი ღონისძიებები:ფოტო - კონკურსი „ზამთარი ხარაგაულში".

ფოტო - კონკურსი „ჩემი თვალით დანახული გაზაფხული",

მოხდა დევის ხვრელის მიმდებარე ტერიტორიის გაწმენდა , გასუფთავება და მარკირება.

ჩხერის ციხის მიმდებარე ტერიტორიის გაწმენდა, გასუფთავება , მარკირება.

მოეწყო ლაშქრობა წიფლიანში.

ლაშქრობა ვახანის ციხეზე ვარძიისა და კიცხის საჯარო სკოლის მოსწავლეების მონაწილეობით.

ვფიქრობ, ამ მიმართულებით ,განსაკუთრებული მუშაობაა საჭირო,რათა წარმოჩინდეს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალი.

კარგი იქნება, თუ შეიქმნება ვიდეორგოლები და სხვადასხვა საინფორმაციო ბუკლეტები.

ა(ა)იპ„კულტურის და ხელოვნების ცენტრი"

ხარაგაულის ცენტრალური ბიბლიოთეკა ემსახურებოდა 4700 მკითხველს, ტარდება არაერთი საგანმანათლებლო და კულტურული ღონისძიება, ცენრტრში განხორციელებული იყო არაერთი პროექტი,როგორიცაა პროექტი „შეხვედრა ცნობილ ადამიანებთან", ,,სტუმრად ბიბლიოთეკაში", ,,შევინარჩუნოთ სიძველეები" და ა.შ.

გასულ წელს, სამი სასოფლო განყოფილება ჩაერთო პროექტში,, კომპიუტერი ყველა სოფლის ბიბლიოთეკას", მათ გადაეცათ კომპიუტერების სრული აღჭურვილობა.

პანდემიის მიუხედავად, ხარაგაულის ცენტრალური ბიბლიოთეკა და მასში შემავალი სასოფლო განყოფილებები აგრძელებენ მკითხველთა მომსახურეობას, რეგულაციების სრული დაცვით.

ახლახან დასრულდა საბიბლიოთეკო კვირეული, რომელშიაც ჩართული იყო მთელი გაერთიანება. წარმოდგენილი იყო მრავალი საინტერესო ღონისძიება. კვირეულის ფარგლებში გაიმართა საბავშვო ბიბლიოთეკაში შეხვედრა საბავშვო მწერალ ვასო გულეურთან . კვირეულის დასკვნითი ღონისძიება გახლდათ ხარაგაულელი პოეტის ვალერი გოგნაძის ახალი წიგნის პრეზენტაცია.

კულტურისა და ხელოვნების ცენტრში მუშაობს და პანდემიის შემდეგ სრული დატვირთვით განაახლა მუშაობა განაახლა ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა ,,უბისმა" (ქორ. ელისო და ზაზა ლურსმანაშვილები), ხალხური სიმღერის გუნდმა ( ხელ. ზურაბ გოგოლაძე) ასევე ვაჟთა ვოკალურმა გუნდმა (ხელ. მადონა გაფრინდაშვილი), ანსამბლი ,,კასარი" ( ქორ. რომან ბუაჩიძე), ანსამბლი ,,ოდილა ( ხელ. რეზო შარიქაძე).

ხარაგაულის ოთარ აბაშიძის სახელობის სახალხო თეატრმა პანდემიის პერიოდში მოახერხა სპექტაკლების ჩატარება. მონაწილეობა მიიღო იმერეთის თეატრალურ ფესტივალში, გარდა ამისა მუშაობდა ახალ სპექტაკლზე, რომლის პრემიერაც გაიმართა 2021 წლის 15 ივნისს. 19 ივნისს მონაწილეობა მიიღო ,იმერეთის თეატრალურ" ფესტივალში. პირველ ივლისს გაიმართა დაჯილდოება. თეატრი დაჯილდოვდა ორ მთავარ ნომინაციაში.

ოქტომბრის ბოლოს, აჭარის ტელევიზიის საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ გადაღებული იქნა ხარაგაულის თეატრის სპექტაკლის „ორნი" (ავტორი მაკა კუკულავა, რეჟ. ირინე ჩხეიძე) ეს იქნება უკვე მესამე სპექტაკლი, რომელსაც აჭარის საზოგადოებრივი არხი განახორციელებს პროექტ „ტელესპექტაკლის" ფარგლებში. იგეგმება მეოთხე სპექტაკლის, რეზო კლდიაშვილის „იმერეული რექვიემის" ჩაწერა.

პანდემიის პერიოდში ხარაგაულის თოჯინების თეატრმა ჩაატარა 5 სპექტაკლი ხარაგაულის სოფლებში. შექმნილია ახალი თოჯინები. დაიწყო მზადება პრემიერისათვის.დასრულდა მაგიდასთან მუშაობა. მიმდინარეობს დეკორაციის გაკეთება და მუსიკალური გაფორმების მომზადება. აგვისტოში ქალაქ ფოთში დაგეგმილია თოჯინების სახალხო თეატრების ფესტივალი, სადაც მიწვეულია თეატრი. დაარსებიდან დღემდე ორ ფესტივალში მივიღეთ მონაწილეობა.

ხარაგაულის ოთარ აბაშიძის სახელობის სახალხო თეატრი ემზადება თეატრი პრემიერისათვის, რომელიც წარმოდგენილი იქნება იმერეთის თეატრალურ ფესტივალზე, ასევე დავით კლდიაშვილის 160 წლის იუბილესთან დაკავშირებით იგეგმება „დარისპანის გასაჭირის" ჩვენება. ასევე დაგეგმილია რეზო კლდიაშვილის „იმერული რექვიემის" ჩაწერა აჭარის ტელევიზიის მიერ. თეატრი მიწვეულია ორ საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე.

კულტურის ცენტრში მუშაობს )ვაჟთა ვოკალური ანსამბლი „ხარაგაულის ხმები".( ხელმძღვანელი მადონა გაფრინდაშვილი) ანსამბლი ემზადება კონცერტისათვის და მალე წარდგება მსმენელის წინაშე.

ამჟამად ,შემოქმედებითი ჯგუფები ემზადებიან 26 მაისს კონცერტისათვის და ასევე ფოლკლორის ეროვნული ფესტივალისათვის, რომელიც დაიწყება ივნისის ბოლოს .

2008 წლიდან კულტურის ცენტრში ფუნქციონირებს თოჯინების თეატრი. უკვე თეატრში დაიდგა 7 სპექტაკლი. ჩატარებული გვაქვს სპექტაკლები თითქმის ყველა სოფელში. თოჯინების თეატრი ხარაგაულელი ბავშვების საყვარელი პროექტია. თეატრი ამჟამად მუშაობს მე-*8 პრემიერაზე.

ვფიქრობ ეს პროექტი საჭიროებს დახმარებას და ხელისშეწყობას. მერიაში უკვე არის იდეა, რომ თოჯინების თეატრმა ბინა დაიდოს კულტურის ცენტრის შენობაში. მივიღებთ ერთ საუკეთესო სივრცე ბავშვებისთვის. შენობის გარე ფასადს ახლახან ჩაუტარდა რეაბილიტაცია.შენობის შიგნით, კერძოდ დარბაზში, ჩასატარებელია სარემონტო სამუშაოები.

კარგი იქნება თუ მომავალში ვიფიქრებთ ახალი კულტურული სივრცეების მოწყობაზე. მაგალითად, ძალიან გაგვახარებთ პატარებს , თუ დაბის ცენტრში გაკეთდება თანამედროვე საბავშვო ბიბლიოთეკა. ამასთანავე , მისასალმებელია მუნიციპალიტეტის მერიის გადაწყვეტილება ცენტრალური პარკის რეაბილიტაციის შესახებ.

## რეზო თაბუკაშვილის სახელობის ლიტერატურული თეატრი

პანდემიის პერიოდშიც ლიტერატურულმა თეატრმა განაგრძო აქტიური ცხოვრება. თეატრის რეჟისორმა იზა ვეფხვაძემ ხარაგაულში მოაწყო ახმედ გოგოლაძის წიგნის პრეზენტაცია და ღორეშაში წარმოადგინა ლიტერატურული წარმოდგენა ახმედ გოგოლაძის შემოქმედებაზე.

ასევე დაიწყო ფილმის გადაღება გალაკტიონ ტაბიძის ფარცხნალში პედაგოგად მოღვაწეობის ერთწლიან პერიოდზე.

მოეწყო კვირეული პლენერ " გამას" ნამუშევრების გამოფენა..

19-20 ივნისში გაიმართა პლენერი "გამა". წარმოდგენილი იყო მუსიკა და მხატვრობა სინთეზში. ღონისძიებაში მონაწილეობას ღებულობდნენ საოპერო ხელოვნების წარმომადგენლები.
ღ ო ნ ი ს ძ ი ე ბ ა  გ ა ი მ ა რ თ ა  ს ო ფ. ვ ე რ ტ ყ ვ ი ჭ ა ლ ა შ ი.

20 ივლისს გაიმართა იზა ვეფხვაძის ახალი წიგნის „გალაკტიონის ნატერფალებზე" პრეზენტაცია და ამ წიგნზე შექმნილი ფილმის პრემიერა.

8 ნოემბერს ,ხარაგაულში ქართულ-ებრაული ორგანიზაციის „მეგობრობის მერიდიანები" და ამავე სახელწოდების ჟურნალის პრეზენტაცია გაიმართა. ორგანიზაციის დამფუძნებელთა შორისაა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერი კობა ლურსმანაშვილი და ლიტერატურული თეატრის დირექტორი იზა ვეფხვაძე. ორგანიზაცია მიზნად ისახავს ქართველი და ებრაელი ხალხის 26 საუკუნოვანი მეგობრობის შენარჩუნებას და გაფართოვებას.

30 ნოემბერს ქ. თბილისში გაიმართა პლენერ „გამას" ნამუშევრების გამოფენის გახსნა „აბრეშუმის გალერეაში" სახელწოდებით „მუზად ქცეული ხარაგაული".

თბილისში 25 მარტს, მწერალთა სახლში გაიმართა ბერძენაზოვ მამა მათესადმი (ბუაჩიძე) მიძღვნილი წიგნის „ გზა უფლისაკენ" პრეზენტაცია.

28 აპრილს ამავე წიგნის პრეზენტაცია გაიმართა ხარაგაულის სამუსიკო სკოლის დარბაზში.

20 აპრილს და 1 მაისს ჩატარდა სამხატვრო-მუსიკალური პლენერი „გამა-2022".

პლენერის ფარგლებში დახატული სურათებისათვის საჭიროა დამატებითი სივრცე.

## ხარაგაულის შოთა ბუაჩიძის სახელობის სამუსიკო სკოლა

სამუსიკო სკოლაში მუშაობა მიმდინარეობს 4 მიმართულებით:

1. ფორტეპიანო
2. ვიოლინო
3. გიტარა
4. საესტრადო ვოკალი

მიუხედავად კოვიდ -პანდემიისა 2021-22 სასწავლო წელს ხარაგაულის სამუსიკო სკოლაში ყველა რეგულაციის დაცვით მიმდინარეობდა სასწავლო პროცესი. მეცადინეობები მიმდინარეობდა როგორც ინდივიდუა

ლურად, ასევე დისტანციურად.

ბავშვთა დაცვის დღესთან დაკავშირებით სამუსიკო სკოლაში ჩატარდა კონცერტი სკოლის აღსაზრდელების მონაწილეობით.

14 ივლისს სამუსიკო სკოლაში ჩატარდა რევაზ ლაღიძის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საღამო.

საახალწლო კონცერტი სამუსიკო სკოლის მოსწავლეების მონაწილეობით.

მარტში გაიმართა დედის დღისადმი მიძღვნილი კონცერტი.

აპრილის თვეში გამართულ ფესტივალ „ მომავლის ვარსკვლავებში" სამუსიკო სკოლის ორმა მოსწავლე ლაურეატის წოდება მიიღო.

სენაკში მაისის ბოლოს ჩატარდება ხელოვნების აკადემიის „არტ-ფესტივალი", სადაც სამუსიკო სკოლა მიიღებს მონაწილეობას.

ივნისის ბოლოს იგეგმება ვოკალურ -ინსტრუმენტული ანსამბლ „გრაალ" კონცერტი.

წელს სკოლა იუბილარია და უსრულდება 65 წელი.

მუნიციპალიტეტში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სკოლამდელ განათლებას. აღსანიშნავია რომ საანგარიშო პერიოდში აშენდა ვერტყვიჭალის და სალანძილის საბავშვო ბაღები და ამჟამად მიმდინარეობს ხუნევის საბავშვო ბაღის მშენებლობა.

ჩვენი სამსახურის მოქმედების სამსახურის დებულების ფარგლებში, ვასრულებთ მუნიციპალიტეტის მერის დავალებებს, ვთანამშრომლობთ მუნიციპალიტეტში დაფუძნებულ ააიპ-ებთან და მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან. კოვიდ პანდემიიდან გამომდინარე დაწესებული შეზღუდვების მოხსნისთანავე მოგვეცა საშუალება დაგვეწყო აქტიურობა ღონისძიებების ჩატარების კუთხით. სამსახური მაქსიმუმს გააკეთებს რომ ხარაგაულში კულტურული ცხოვრება უფრო აქტიური და საინტერესო გახდეს.